MES 8 18 01598214

11/12/2018

,,გამომცემლობა ტრიასი"-ს დირექტორს ბატონ ელდარ არსენაშვილს

„გამომცემლობა პალიტრა L"-ის დირექტორს
ქალბატონ თინათინ ასათიანს

ბატონო ელდარ,
ქალბატონო თინათინ,

სააგენტომ განიხილა თქვენს მიერ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს წარმოდგენილი N1448644 წერილი, რომლითაც ითხოვთ თანხმობას 2018 წლის 04 აგვისტოს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს „გამომცემლობა ტრიასს“ შორის გაფორმებული N04/08/18 - 382 ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების „გამომცემლობა პალიტრა L“-სთვის გადაცემაზე.

გაცნობებთ, რომ სააგენტო თანახმაა N04/08/18 - 382 ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, "გამომცემლობა ტრიასი"-ს უფლებები და მოვალეობები სრულად გადაეცეს „გამომცემლობა პალიტრა L“-ს.

ამასთან, ვინაიდან საავტორო უფლებების გადაცემამ არ უნდა გამოიწვიოს ლიცენზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის გაზრდა, გთხოვთ, ხელშეკრულებაში ნათლად ასახოთ საავტორო ჰონორარის გადახდის წესი და პირობები.

ამასთანავე გთხოვთ, წარმოადგინოთ შპს „გამომცემლობა ტრიასსა“ და „გამომცემლობა პალიტრა L“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უფლების გადაცემის შესახებ, ერთობლივი განცხადება/თანხმობა მომდევნო წლების ტირაჟის მიხედვით გადასახდელი თანხის „გამომცემლიბა პალიტრა L“-ის ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ და საბანკო რეკვიზიტები.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

დირექტორი
ზვიად როსტომაშვილი